ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 75
21/09/2016

75-08-4-201609211647

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საჭამიასერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული #28.16.22.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსიდან ჩამოწერის, დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების) განკარგვის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს #31 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ბალანსიდან ქონების ჩამოწერის წესი“-ს მე-5 მუხლის მე-5 პუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს #31 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გამგეობის ბალნსზე რიცხული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესი“-ს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საჭამიასერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული #28.16.22.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსიდან ჩამოწერის, დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების (მარაგების) განკარგვის თაობაზე“

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ სიხარულიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა